საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**ბ68. 68263216**
თარიღი:**17/11/2026**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქუჩა N84ა-ს მიმდებარედ მდებარე, 36.01.31.1998 საკადასტრო კოდით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 70 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით, უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ.ა'' და ,,ე.ე'' ქვეპუნქტების, 119-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს 180-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2020 წლის 09 მარტს დამტკიცებულ N50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2026 წლის 5 ოქტომბერს Ng-69.69262785 განკარგულებით შეტანილი ცვლილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქ. N84ა-ს მიმდებარედ მდებარე, 36.01.31.1998 საკადასტრო კოდით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 70 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით, საწყისი საპრივატიზებო ღირებულებით 4100 (ოთხი ათას ასი) ლარი.
2. განისაზღვროს:

ა) წინასწარი შესატანი „ბე“-ს ოდენობა საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 30%. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ,,ბე“ ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას;

ბ) „ ბიჯი“-საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 10%;

გ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გაფორმდეს მუნიციპალიტეტის

ქონების მმართველსა და მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება;

დ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

3. აუქციონი გამოცხადდეს 2026 წლის 18 ნოემბერს დღის 13.00 საათზე და დასრულდეს 2026 წლის 8 დეკემბერს დღის 13.00 საათზე.

4. ინფორმაცია გამოქვეყნდეს ხარაგაულის მერიის ვებ-გვერდზე: www.kharagaulinews.gov.ge და მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის საინფორმაციო ბიულეტენში „ახალ ხარაგაულში“.

5. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს, უზრუნველყოს ელექტრონული აუქციონის ჩატარების ორგანიზება და აღნიშნული ბრძანების მოთხოვნის სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებ-გვერდზე www.eauction.ge -ზე განთავსება.

6. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი